საქართ. კომპარტ. ცენტ.-კომ. [illegible] პარტიი
წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 20,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 [illegible]
4 „ 100,000
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 460 პარასკევი, მაისის 4 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000

ორშაბათს, 7 მაისს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია „სახალხო სახლის დარბაზში“ (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის)

## ტფილისის მუშათა გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1. პრეზიდიუმის მოხსენება აღმასკომის მოქმედების და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
2. 1923 წ. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
3. „კომზაგეს“-ის მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ.
4. მიმდინარე კითხვები.

ვინაიდან განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები, ამიტომ სხდომაზე დასწრება ყველა საბჭოს წევრთათვის სავალდებულოა.

იმ წევრთა შესახებ, რომელნიც არ გამოცხადდებიან სხდომაზე საბჭოს ცალკე ექმნება მსჯელობა.

პრეზიდიუმი. 330 3—2

## სავაჭრო-სამრეწველო აღწერისათვის.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

იმ დროს, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მთელი ყურადღება და ძალღონე მიმართულია სამეურნეო ფრონტისკენ, ხანგრძლივი ომის და რევოლიუციის დანგრეულ ქვეყნის მეურნეობის აღდგენასა და აყვავებისკენ, მან უნდა იცოდეს ამ მეურნეობის მდგომარეობა; მისი საჭიროებანი, მისი განვითარების დამაბრკოლებელი მიზეზები და სხვ.

და აი, ქვეყნის მეურნეობის წესიერად მოწყობისათვის, სახელმწიფოს მხრივ დახმარების აღმოსაჩენად, საჭიროა ამ მეურნეობის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები გვქონდეს. უამისოდ ჩვენ უმწეონი ვიქნებით, ჩვენი მუშაობა სიბნელეში ხელის ფათური იქნება, და აქ აუცილებელი იქნება მრავალი, ზოგჯერ გაუსწორებელი, შეცდომა.

მშრომელი ხალხი ხელისუფლების ხელში ჩაგდებისთანავე ქვეყნის პატრონიც გახდა. მაგრამ ეს არ კმარა. ის კარგი პატრონიც უნდა იყოს, კარგი პატრონი კი პირველ ყოვლისა ის არის, ვინც თავის ქონებას, თვის ფაბრიკებს და ქარხნებს იცნობს, იცის სად რა აქვს და რა მდგომარეობაშია. იცის რა აკლია მის მეურნეობას და მაშინ ისიც ეცოდინება, თუ რა უნდა გააკეთოს, როგორ ააშენოს თვის მეურნეობა.

ეს ცნობები კი შეგვიძლია მოვიპოვოთ ჩვენი ქვეყნის ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დაწვრილებითი **აღწერის** საშვალებით.

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების წესიერად მოწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად რიგიანად იქნება ჩატარებული აღწერა.

აღწერამ უნდა მოგვცეს სწორი და ზედმიწევნითი ცნობები.

აღწერის გარეშე არ უნდა დარჩეს არც ერთი ქარხანა, არც ერთი ფაბრიკა, სახელოსნო დაწესებულება, მაღაზია, დუქანი და სხვა.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს თხოვნით ყველა მეურნეს, კოოპერატორს და ვაჭარ-მრეწველთა კლასს შეგნებით მოეკიდონ აღწერას, ყოველგვარად დაეხმარონ მის გატარებაში, უტყუარ და სწორი ცნობების მოწოდებით; უნდა ახსოვდეთ, რომ აღწერის მიზანი რაიმე გადასახადების შეწერა არ არის და სამეურნეო ცხოვრების წესიერად მოწყობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად ჩატარდება აღწერა.

მშრომელნო!—ყველაზე მეტად თქვენა ხართ დაინტერესებულნი ქვეყნის მეურნეობის სწრაფი და სავსებით აღდგენითა და განვითარებით. ქვეყნის სამეურნეო ძლიერება თქვენი ძლიერებაა. დაეხმარეთ აღმწერლებს უტყუარ ცნობების აკრეფაში.

სრ. საქართ. საბჭოთა ცენტრ. აღმასკომის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ცენტრ. აღმასკომის მდივანი **ხაზაშვილი.**

1923 წ. 28 აპრილი.
ტფილისი—სასახლე.

## სოფლის ნაწარმოებს გაზარი უნდა გაეხსნას

მეტად ცუდ მდგომარეობაშია ჩვენი სოფელი. გლეხ-კაცობა განიცდის დიდს ფინანსიურ-ეკონომიურ კრიზისს. ასეა მარტო საქართველოში, ყველა საბჭოთა ფედერაციაში.

დღეს სოფელი და ქალაქი, ყანები და ქარხნები, ნამგალი და ჩაქუჩი ეკონომიურის თვალსაზრისით დაუპირისპირდა ერთმანეთს ბაზარზედ. პური-სიმინდი ჩალის ფასადაა, ფართლეულობა-რკინეულობა კი—მეტად ძვირია მშრომელი გლეხი ვერაფერს ყიდულობს ბაზარზე. მისთვის საოცნებო გახდა პირველსაჭიროების საგნები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრით სოფლისთვის ერთობ სავალისწერო პირობებია ამ ჟამად შექმნილი:

გლეხს, რა თქმა უნდა—ღარიბ გლეხს,—არ აცვია ფეხზე, არ ხურავს თავზე. მისი ცოლშვილი დაკონკილ-დაფლეთილ ტანსაცმელითაა შემოსილი. [illegible] კიდევ არაფერი. უფრო სავალალოა ის მდგომარეობა, რომ გლეხი მოკლებულია სასოფლო-სამეურნეო იარაღების: ცულის, ნაჯახის, სახნისის და სხ. შეძენის საშუალებას. ყოველივე ამას რით-ღა იძენდა გლეხი? რასაკვირველია—სიმინდით. დღეს კი სიმინდს ფასი არა აქვს. მაშასადამე, სამეურნეო იარაღების შესყიდვისათვის გლეხს არ გააჩნია არავითარი ღონისძიება. ეს გარემოება ხაზგასმითაა აღსანიშნავი. ამას უნდა მიექცეს ყველაზე მეტი, ყველაზე სერიოზული ყურადღება. გლეხკაცობისათვის სამეურნეო იარაღების მიწოდება იაფ ფასებში, ან სრულებით უფასოთ—არაა მარტო გლეხობის საკითხი. ამას აქვს უმთავრესად და უაღრესად სასოფლო მეურნეობის მაჯის ცემის შეუწყვეტლობის და გაძლიერების მნიშვნელობა, სოფლის ეკონომიკის მკვიდრ საფუძვლებზე დაყრდნობის შინაარსი.

სანამ გლეხ-კაცობის მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, მანამ შეუძლებელია სოფლის მასსის ნდობის მოხვეჭა. მართალია, მიწის მუშას მიწა მიეცა. ამას ხედავს ყოველი მშრომელი გლეხი და შეგნებულადაც აფასებს კიდევაც საბჭოთა აგრარულ რეფორმას. მაგრამ არ კმარა მარტო მიწების დარიგება. დღეს გლეხობისათვის უფრო საინტერესო შეიქნა არა მიწა, არამედ მისი ნაამაგარის დაფასება.

საჭიროა სათანადო ზომების მიღება. როგორც ვიცით, ხელისუფლება უკვე ცდილობს მდგომარეობის გაუმჯობესობას. რა საშუალებით? იმ საშუალებებით, რომლებიც მოგვცემს უფრო მეტ შედეგს დიდს რეზულტატს. რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობამ მიაქცია სოფელს არსებითი ყურადღება და გამონახა გამოსავლელი გზები. გასულ წელს რუსეთში პურის დიდი მოსავალი იყო. ჩვენშიაც დიდი მოსავალი იყო სიმინდის. და აი მთავრობაც ცდილობს სოფლის ამ ნაწარმოებს ბაზარი გაუჩინოს. ამას წინეთ ჩვენ არ გაგვაჩნდა ეს ბაზარი. ახლა კი საქმის ვითარება სხვანაირია: საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის ნაწარმოები საზღვარ-გარეთ უნდა წავიდეს სიმინდის და პურის რეალიზაცია უცხოეთში უნდა მოხდეს უსათუოდ.

რას მივიღებთ სიმინდისა და პურის ექსპორტით?—იმას, რაც გვჭირდება და არ გაგვაჩნია: ფართლეულობას, სასოფლო სამეურნეო გაუმჯობესებულ იარაღებს, ფეხსაცმელებს და მრავალ სხვებს. უეჭველია, უცხოეთის ბაზრისაკენ გზის გახსნით ფასი და ღირსება დაედება ჩვენი გლეხობის ნაშრომ-ნაშევარს და მდგომარეობაც გამოკეთდება. მხოლოდ ერთი რამაა საჭირო: მთავრობის გეგმების პრაქტიკულად განხორციელება, პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკული საქმიანობა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი. ჩვენ ვამბობთ სიმინდის გაძვირების შესახებ. ჩვენი ქვეყანა, საბედნიეროდ, არ განიცდის სიმინდის სივიწროვეს. სიმინდი ბლომადა გვაქვს. საჭიროა მას მყიდველი აღმოუჩინოთ. რა გზით შეიძლება, რა საშუალებებით მოხერხდება ეს.—ცნობილი გზით: სიმინდის ოსმალეთში გატანით. ჩვენი რესპუბლიკის ზოგ საზღვრო აღმასკომს, როგორც ვიცით, უკვე აქვს შუამდგომლობა აღძრული სათანადო ორგანოს წინაშე ამ მიზნის განსახორციელებლად. ჩვენ ვუცდით მთავრობის სათანადო დასკვნებს.

ამრიგად, რაც გინდ დაგვიჯდეს, მშრომელი გლეხის გასაჭირს დასასრული უნდა მივსცეთ. ამას მოითხოვს როგორც სოფლის მეურნეობის მომავლის ინტერესები, აგრეთვე სოციალისტური რევოლიუციის ინტერესებიც.

მაისის პირველიდან
„ტრიბუნა“
ღირება:
თვეში . . . . . 400.000 მან.
ცალკე ნომერი 20.000 „

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**საფრანგეთის აღდგენა.** საფრანგეთის მთავრობამ დახარჯა 1922-წლის 31 დეკემბრამდე 41 და ერთი მეოთხედი მილიარდი საფრანგეთის განადგურებულ ოლქების აღდგენისათვის. მომავალში დაზარალებული ოლქების მოსახლეობის უნდა მიეცეს კიდევ 84 მილიარდი.

— **ინგლისის მუშათა პარტია არჩევნებში.** ინგლისის მუშათა პარტიამ დამატებით სათემო არჩევნებში ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში დაკარგა 4 ადგილი. ტენბრიჯში (კენტის საგრაფო) მუშათა პარტის არც ერთი კანდიდატი არ არის არჩეული.

— **საჰაერო ფლოტების კონკურენცია.** ინგლისის მთელი პრესა დაწვრილებით იხილავს ლორდ ბირკენხედის სიტყვას, რომელმაც აღნიშნა საფრანგეთის საჰაერო სამხედრო ძალების რიცხვრივი უპირატესობა, ინგლისურთან შედარებით. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის ეს უპირატესობა არ შეიძლება განხილულ იქმნას, როგორც მუქარა ინგლისისადმი, არამედ ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ საფრანგეთი თავის თავს ჯერ კიდევ უშიშრათ არ სთვლის; ამასთანავე აღნიშნულია რომ ინგლისმა ყოველ შემთხვევისათვის უნდა იზრუნოს თავის შესახებ ასევე გულმოდგინეთ. „ობსერვერი“ სწერს: ჩვენ მზათა ვართ შევამციროთ შეიარაღება ურთიერთობის საფუძველზე. მაგრამ როგორც არ უნდა იქნეს საქმე, ინგლისი ვალდებულია უზრუნველყოს თავის უშიშრობა ისევე როგორც ამას მისი მეზობლები სჩადიან. ინგლისისათვის სასიცოცხლო საკითხი არის საჰაერო ფლოტის ქონება, რომელიც არც მეტი, მაგრამ არც ნაკლები იქნება სხვებთან შედარებით. „სენტეი ტაიმსი“ აღნიშნავს: ჩვენ არ შეგვიძლია შეჯიბრება დავიწყოთ საჰაერო თავდაცვის დარგში. ჩვენ მოხარული ვიქნებოდით საჰაერო განიარაღების კონფერენციის მოწვევისა. მსგავსათ ვაშინგტონში მოწვეულ კონფერენციისა.

— **ირლანდიაში.** დუბლინიდან მიღებული ცნობებით, ირლანდიის სხვა და სხვა რაიონებში ისევ დატყვევებულია მრავალი აჯანყებული და მათ შორის პოპილიარული ბელადი ბოფინი, წოდებული „ირლანდიელ დევეტათ“ (ცნობილი ბურის გენერალი ინგლის-ბურების ომის დროს).

— **უმუშევრობა.** ოფიციალური ცნობებით 24 მარტისთვის ბერლინში უმუშევართა რიცხვი 88 ათას უდრიდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მეტალურგიულ მრეწველობაში.

— **ახალი ზელანდიის მუშები ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.** „ტაიმსის“ მიერ მიღებული ცნობებით, ახალ ზელანდიაში შემდგარმა მუშათა პარტიის ყრილობამ საშიშროების გამო, რომელიც მოსალოდნელია კაპიტალისტური იმპერიალიზმის მხრით, დაადგინა ეცადოს მუშათა პარტიის საერთო კონფერენციის მოწვევა დიდ ბრიტანეთში; ამ კონფერენციამ უნდა გამოიმუშავოს მოქმედების საერთო ხაზი ინგლისის საგარეო პოლიტიკის ტენდენციებთან დაკავშირებით. ყრილობა შეუერთდა ინგლისის მუშათა პარტიის პროტესტს რურის ოლქის ოკუპაციის წინააღმდეგ.

— **უმუშევრობა ინგლისში.** ოფიციალური ცნობების თანახმად, უმუშევართა რიცხვი ინგლისში 26 მარტისათვის შეადგენდა 1.248.400; ასე რომ წარსულ კვირესთან შედარებით ის შემცირებულა 17.144 ადამიანით, ხოლო 1923 წლის 1-ლ იანვართან შედარებით კი 248. 778 ადამიანით.

— **რურის დაკავება და ბელგია.** რურის დაკავებამ მავნებელი შედეგი მოუტანა ბელგიის მრეწველობას. ბელგიის მრეწველობის კრიზისი გამოწვეულია გერმანიიდან კოქსისა და ნახშირის მიწოდების სრული შეწყვეტით. კოქსის მიუღებლობის გამო უკანასკნელ 2 ნახ. თვის განმავლობაში შეჩერდა 85 დამენის ღუმელის მოქმედება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რურის ოლქის დაკავების პირველ ხანებში ბელგიაში კიდევ იყო დარჩენილი გერმანული კოქსისა და ნახშირის მარაგი, მაშინ ცხადი გახდება, რომ კრიზისი მომავალში კიდევ უფრო გამწვავდება. ბელგია, რომელიც აწარმოებდა განსაზღვრული ხარისხის კოკსს და გაქონდა ის საფრანგეთში, იძულებული გახდა აეკრძალა მისი ექსპორტი საფრანგეთში. სამაგიეროთ, საფრანგეთმა აკრძალა მადნეულობის ექსპორტი ბელგიაში. ამ ნიადაგზე საფრანგეთსა და ბელგიას შორის შექმნა მთელი რიგი გაუგებრობანი. ნახშირის ნაკლებობა მეტად საგრძნობი არის ბელგიის შუშის მრეწველობაში, რომელიც ერთ მთავარ წევრს წარმოადგენს ქვეყნის სამრეწველო ორგანიზმისას. თუ კრიზისი არ არის საგრძნობი საქსოვ მრეწველობაში, ეს აიხსნება საქსოვი საქონლების გაძლიერებული მოთხოვნილებით უცხოეთიდან, რომელიც გამოწვეული არის ფრანკის დაცემით. ეს მოვლენა ვერაფერს ლაპარაკობს სახელმწიფოს საერთო ეკონომიურ მდგომარეობის სასარგებლოდ, რადგან ფრანკის ასეთი დაცემის დროს იძულებული გახდებიან იყიდონ საიმპორტო ნედლი მასალები ბელგიურ ფრანკებში გაცილებით ძვირად, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა აქამდე.

## ტელეგრამები

### ამხ. ლენინის ჯანმრთელობა.

(ბიულეტენი № 30).

**მოსკოვი.** 30 აპრილი. ტემპერატურა—36,7, პულსი—102, სუნთქვა—26. კატარრალური მოვლენები ფილტვებში მოისპენ.

1923 წ. 30 აპრილი, ნაშუადღ. 2 საათი.

პროფესორები: **მინკოვსკი, ფიორსტერი, კრამერი, ბუმკე.**

ექიმი **ელისტრატოვი.**
პრივატ-დოცენტი; **კოჟევნიკოვი.**
ჯანმრთელობის სახ. კომისარი: **სემაშკო.**

### რურის ოლქის ოკუპაცია.

ახალი მტაცებლობა

**ბერლინი** 29 აპრილი. სამხედრო რაზმების დახმარებით, საოკუპაციო ხელისუფლებამ კვლავ დაიკავა მთელი რიგი მაღაროებისა. პროტესტის ნიშნად ვატროპერეს მაღაროების მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

### ლოზანის კონფერენცია.

**პარიზი.** 28 აპრილი. საფრანგეთის პრესის ცნობით ლოზანას კონფერენციის ეკონომიური კომისია განაგრძობს თავის მუშაობას. კონცესიების საკითხის სექციის დაარსება გადადებულია. როგორც სჩანს საფრანგეთის პრესა იცვლის თავის ტონს ოსმალეთის მიმართ.

**ანგორა** 28 აპრილი. გაზეთი „საკიმიელ მილიე“ ფიქრობს, რომ ლოზანას კონფერენცია დიდს ვერაფერს მოუტანს ოსმალეთს. გაზეთი დაჟინებით მოითხოვს მოკავშირეების მიერ სტამბოლის ევაკუაციას, საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციამდე.

**პარიზი** 28 აპრილი. საფრანგეთის პრესა ამტკიცებს, რომ ლოზანას კონფერენციის მთავარ დაბრკოლებებს წარმოადგენენ არა პოლიტიკური და ფინანსიური საკითხები არამედ ანგორის მთავრობის შეურიგებელი პოზიციად. თუ ოსმალეთი არ იტყვის უარს თავის პოზიციაზე, სწერენ გაზეთში, ლოზანას მეორე კონფერენციას იგივე ბედი მოელის რაც პირველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მდგომარეობა ჩინეთში

### მღელვარება ჩინელ მეზღვაურთა შორის

**პეკინი 29 აპრილი.** იტყობინებიან ჩინეთის ფლოტის მეზღვაურთა შორის მღელვარების შესახებ ამ მღელვარების გამო შემოღებულია საიდუმლო სამხედრო წესები.

**პეკინი 25 აპრილი.** ევროპაში მყოფმა ჩინეთის დიპლომატიურმა წარმომადგენლებმა აცნობეს თავის მთავრობას, რომ ინგლისი და საფრანგეთი იწვევენ იტალიას იაპონიას და ამერიკას პარიზში სათათბიროთ სარეპარაციო საკითხების განსახილველად და ჩინეთის სესხების გამოსასყიდლათ.

**პეკინი 29 აპრილი.** კანტონის მუშებმა შეადგინეს პარტიზანული რაზმები სუნ-იატ-სენუს დასახმარებლად. გონ-კონგის მუშები ამავე მიზნით ჰკრებენ შემოწირულებებს. სამხრეთ-ჩინეთის მცხოვრებნი არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით უჭერს მხარს სუ-იატ-სენუს.

## ახლო აღმოსავლეთი.

**ბერლინი 30 აპრილი.** ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჩესტერის კონცესიაზე ხელი მოაწერეს ოსმალეთის საზოგადოებრივ სამუშაოს მინისტრმა და ჩესტერის კომპანიის წარმომადგენლებმა.

**პარიზი 30 აპრილი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ სირიაში გაიგზავნა საფრანგეთის ორი დივიზია საზღვრების დასაცავად.

## იმპერიალიზმის რღვევა

**ბერლინი.** როგორც გადმოგვცემს „როტე ფანე“ „უმანიტე-“ში ყოველდღე მოდის მთელი რიგი წერილების და რეზოლიუციებისა, რომლებიც გამოაქვთ საფრანგეთის ჯარისკაცებს, რომლებიც აშკარად ამტკიცებენ კომუნისტური პარტიისადმი სიმპატიის ზრდას იმპერიალისტური არმიის ჯარისკაცებს შორის. „როტეფანე“-ს მოჰყავს ზოგიერთი რეზოლიუციები: „საარბურგის მე-160-ე ქვეითა პოლკი თითქმის ერთხმად აცხადებს პროტესტს არმიის რიგებში მორიგ გასაწვევ კლასების დატოვების წინაამდეგ და დიდ მადლობას უძღვნის კომუნისტურ პარტიას ენერგიული კამპანიის გაწევისათვის. სდევნიან ყველა იმას, ვინც მღერის „ინტერნაციონალს“, მაგალითად: მე-13-ე ქვეითა პოლკი ღამის მანევრების დროს მღეროდა „ინტერნაციონალს“.

### მდგომარეობა „დამოუკიდებელ ეგვიპტეში“

**ქაირო.** რეიტერის სააგენტო იტყობინება ქაიროდან, რომ ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში, ეგრედ წოდებულ ტგანტის კვარტალში მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება ბრიტანეთის პოლიციელებსა და ეგვიპტეს ქვეითა პოლკის ჯარისკაცებს შორის. დაჭრილია 30 კაცი. შეტაკება გამოიწვია ერთი უნტერ-ოფიცრის დაპატიმრებამ, რომელსაც უდიერად მოექცნენ პოლიციის ბიუროში. ამისათვის დააპატიმრეს მრავალი ჯარის-კაცები, შალონში ჯარისკაცებს განზრახული ჰქონდათ საპროტესტო გაფიცვის გამოცხადება, რისთვისაც ოფიცრები მათ ტანკებით დაემუქრენ. კაზოს სანგრებიდან 500 ჯარისკაცი უძღვნის სალამს და მადლობას „იუმანიტეს“.

## ბავარია სამოქალაქო ომის წინ

**ბერლინი.** 29 აპრილი ბავარიის მთავრობამ აკრძალა პირველი მაისობის დღესასწაულობა იმ მიზეზით თითქო კომუნისტები შეიარაღებული არიან.

„ფორვერი“ ბავარიის მთავრობის ამ განცხადებას სთვლის დაცინვად, ვინაიდან ბავარიაში შეიარაღებული არიან მხოლოდ ნაციონალისტები. უკანასკნელები გულ მოდგინეთ ვარჯიშობენ სამხედრო მწყობრში, რასაც იწონებს ბავარიის მთავრობა პრუსიის ლანტაგის კომუნისტი დეპუტატი ებერლეინი „როტე ფანეში“ სწერს, რომ მუშები აღშფოთებული არიან ნაციონალისტების ლიდერის ჰიტლერის მოქმედებით და მათ განზრახული აქვთ გაუწიონ შეიარაღებული წინააღმდეგობა ნაციონალ სოციალისტების გამოსვლებს. ებერლეინი დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში ბავარიაში დაიწყება სისხლის მღვრელი შეტაკებანი.

## უმუშევართა შეტაკება პოლიციასთან.

**ვენა.** 30 აპრილი. ვენაში გაიმართა უმუშევართა მასიური კრებები, კრებაზე დამსწრე რამდენიმე ათასმა უმუშევარმა აირჩია განსაკუთრებული დეპუტაცია, რომელმაც გადაიცა ავსტრიის პრემიერს ზეიცელს უმუშევართა მოთხოვნილება: ზეიცელმა განუცხადა დეპუტაციას, რომ მთავრობას არ შეუძლია დააკმაყოფილოს უმუშევართა მოთხოვნილება. შეკრებილმა ხალხმა გამართა დემონსტრაცია პარლამენტის წინაშე, რომელიც გარეკა პოლიციამ. მოხდა მრავალი დაპატიმრებანი.

## სოციალ-დემოკრატები მუშათა დღესასწაულის წინააღმდეგ.

**ვენა.** 30 აპრილი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარი განაცხადა, 1 მაისს კომუნისტებთან ერთად გამოსვლაზე, ამის გამო კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ამჯობინებენ იდღესასწაულონ ნაციონალ-დემოკრატიული დღესასწაული იმის მაგიერ რომ გამოვიდნენ კომუნისტებთან ერთად საბრძოლველი დროშის ქვეშ.

## საგარეო რუსეთის ცნობა ი [illegible]რეგო.

**ტოკიო.** 29 აპრილი. გოტომ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობის წრეების მერყეობის მთავარ მიზეზად რუსეთთან დაახლოვების საკითხში, ითვლება იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილება, არ იცნოს რუსეთის სხვა სახელმწიფოზე ადრე.

გაზეთები იტყობინებიან, რომ იაპონიის გარეშე საქმეთა სამინისტროში ორი მიმდინარეობა არსებობს: ერთი მოითხოვს დაკმაყოფილებას ნიკოლაევის ინციდენტის გამო, და მეორე იზიარებს გოტოს თვალსაზრისს, რომელსაც საჭიროთ მიაჩნია სისწორით გაუშუქოს იაპონიის ხალხს ნიკოლაევის ამბები და დასთანხმდეს რუსეთის გონივრულ მოთხოვნილებებზე.

## სოციალ-დემოკრატები ერთიან ფრონტის წინააღმდეგ

**ბერლინი 39 აპრილი.** საქსონიაში მომწიფებული კრიზისი მთავრობის გამოწვეულია მით, რომ სოციალ-დემოკრატები საბოტაჟს უცხადებენ პროლეტარული თავდაცვის ორგანიზაციის შექმნას, აცხადებენ რა უარს იმუშავონ კომუნისტებთან ერთად ამ ორგანიზაციების მოწყობისათვის. სოციალ დემოკრატები არ ეთანხმებიან კომუნისტებს მთელ რიგ საკითხებში, რომელიც შეეხება პროლეტარული თავდაცვის საქმეს. ამის გამო, კომუნისტებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავენ რომ საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების მოქმედება არღვევს პროლეტარული თავდაცვის ძირითად პრინციპს—მასების გაერთიანება ფაშისტების საწინააღმდეგო ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატების წინადადება არღვევს შეთანხმების პირობას, რომლის ძალითაც დაარსდა საქსონიაში სოციალ-დემოკრატიული მთავრობა კომუნისტები მიმართავენ სოციალ-დემოკრატ მუშებს მოწოდებით, რათა მოახდინონ გავლენა თავიანთ ლიდერებზე და არ მისცენ მათ საშუალება სოციალ-დემოკრატებს და კომუნისტებს შორის მიღწეული შეთანხმება დაარღვიონ. როგორც სჩანს სოციალ-დემოკრატებს სურთ რა დიდი საერთო საიმპერიო კოალიციის შექმნა, ეშინიათ იმის, რომ საქსონიის კომუნისტებთან მიღწეული შეთანხმება ხელს შეუშლის ასეთი კოალიციის შექმნაში.

## რუსეთ-დანიის ხელშეკრულება.

**კოპენჰაგენი.** 28 აპრილი. მოსკოვში მყოფმა რუსეთ-დანიის დელეგაციის თავმჯდომარემ კლანმა საუბრის დროს აღნიშნა, რომ დანიის დელეგაციას რუსეთში დიდი სტუმართ მოყვარეობით შეხვდნენ, კლანი გამოსთქვამს იმედს, რომ ხელშეკრულება იქნება საუკეთესო საშვალება ორივე ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლათ.

## რუსეთის დელეგაციის დაპატიმრება.

**ბერლინი.** 29 აპრილი. ფრანკფრუტის დელეგაციის წევრი ჩირიკოვი დეპეშით იტყობინება ფრანკფრუტის კონფერენციის რუსეთის დელეგაციის დაპატიმრების შესახებ. დელეგაცია დაპატიმრებული იქნა ჰოლანდიის საზღვარზე გადასვლის დროს პფალცში ჰოლანდიის ჟანდარების მიერ. დაპატიმრებულები გაჩხრიკეს და 14 საათის შემდეგ მცველებით გაგზავნეს ისევ გერმანიაში. ჩირიკოვმა შემთხვევით აიცდინა თავიდან დაპატიმრება. დელეგაციამ იუზეფოვიჩის, კოზლევის და ჩირიკოვის შემადგენლობით, ვერ ჰპოვა რა ამსტერდამელების მხრივ დახმარება ჰოლანდიაში შესვლის ნებართვის მიღებაში, სცადა სათანადო მოწმობების გარეშე შესვლა ჰოლანდიაში, სადაც ის დაპატიმრებული იქნა.

---

# ახალი ამბები

**კურსების გახსნა.** სასკოლო ასაკამდე აღზრდის განყოფილებამ გახსნა კურსები საბავშო სასწავლებლებისათვის პედაგოგების მოსამზადებლათ. კურსებზე გადიან განსაკუთრებრივ საპედაგოგიო საგნებს თანახმად ახალ დროის მოთხოვნილებებისა, აგრეთვე იკითხება პოლიტიკური ეკონომია და საბჭოთა აღმშენებლობა. კურსებზე ჩაწერილია 80 პედაგოგი.

— **პროლეტკულტში.** პროლეტკულტის სტუდია გადაკეთებულია პროლეტკულტის ტეხნიკუმათ, როგორც სპეციალური შემოქმედების სასწავლებელი. ტეხნიკუმი მოამზადებს კვალიფიციონურ სპეცებს, როგორც: მსახიობებს, რეჟისორებს, ლიტერატორებს, ჟურნალისტებს, მხატვრებს და სხვ. მეცადინეობა სწარმოებს ქართულ, რუსულ, თათრულ და სომხურ ენებზე. ეროვნულად დაყოფილი იქნება სექციები. ტეხნიკუმში ჩარიცხვის წინ მსმენელმა უნდა ჩააბაროს გამოცდა. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. პირველ რიგში მიიღებიან მუშები, წითელ არმიელნი და ახალგაზდა კომკავშირის წევრნი.

— **სახელოსნო სასწავლებლის ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოსათვის გადაცემის შესახებ.** განათლების კომისარიატმა დაადგინა გადაეცეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს ბათომის ყოფილი სახელოსნო სასწავლებელი, საქარხნო-სამრეწველო სასწავლებლის გასახსნელათ და ეს სასწავლებელი დარჩეს აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატის სრულ განკარგულებაში.

— **შესწავლა.** ამავე კომისარიატმა დაადგინა დასავლეთ საქართველოში კულტურული მცენარეთა შესწავლის მიზნით ყოფილი სახელოსნო სასწავლებელი ბორჯომში გადაკეთებულ იქმნას სატყეო და სასოფლო-სამეურნო პროფესიონალურ სკოლად. სათანადო პროგრამის გამომუშავება დაევალა პროფ. ტეხნ. გან. მთავარ მმართველობას. სასწავლებლის გახსნის მოსაგვარებლად კომისარიატმა გამართა სათანადო მოლაპარაკება მიწმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

— **ტეხნიკუმი რკინის გზელებისათვის.** ამავე კომისარიატმა აუცილებელ საჭიროდ სცნო რკინის გზის საჭიროებისათვის ქართული ტეხნიკუმის გახსნა. ამ მიზნით დადგენილია დაევალოს პროფ. ტეხნ. განათლ. მთავარ მმართველობამ გამოყოს რომელიმე ტეხნიკუმი ამ მიზნისათვის და გამოიმუშავოს სათანადო პროგრამა.

— **მოწმობებზე გამოცდების დანიშვნა.** თუმცა პრინციპიალურად განათლების კომისარიატი წინააღმდეგია ყოველ-გვარი გამოცდებისა, მაგრამ ვინაიდან წელს წინდაწინ არ ყოფილა სათანადო გაფრთხილება, ამიტომ დაშვებულ იქნას გამოცდები იმ პირთათვის, რომელნიც აბარებენ გამოცდებს სიმწიფის მოწმობებზე, შემდეგ ცენტრებში: ტფილისში, ქუთაისში, სენაკში, ოზურგეთში და თელავში. ამ მიზნით პროფ. ტეხნიკური განათლების მთავარ მმართველობას დაევალა მიიღოს სათანადო ზომები გამოცდის მოწყობის შესახებ.

— **სავალდებულო დადგენილების გამოცემისათვის.** აღმასკომის საადგილ-მამულო კოლეგიამ დაადგინა ეთხოვოს აღმასკომის პრეზიდიუმს გამოცემულ იქნას სათანადო სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ყოველი სახლის პატრონი ქ. ტფილისის ფარგლებში მოვალე იქნება აცნობოს განსაზღვრულ ვადის განმავლობაში აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას, თუ რამდენი და რა პირუტყვი ინახება მათ მდგმურების მიერ დაქირავებულ ბინებში და ეზოებში.

— **მოხეტიალე ძაღლები და ქოთაოიანი ცხენები.** საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიამ აღძრა შუამდგომლობა აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რათა აღდგენილ იქნას აღმასკომის შარშანდელი დადგენილება ქუჩებში მოხეტიალე ძაღლების ლიკვიდაციისათვის, ხოლო ქოთაოიანი ცხენებისათვის—სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით ცხენების ყველა მეპატრონე სამ თვეში ერთხელვალდებული იქნება შესამოწმებლად ადგენდეს ცხენებს უბნის ვეტერინარულ ექიმებთან.

— **ხუდადოვის ტყე.** ვინაიდან ხუდადოვის ტყეს დიდ ზიანსა და ზარალს აყენებს საძოვნელათ ქურდულათ შერეკილი საქონელი, ამიტომ ასეთი მოქმედების აღსაკვეთავათ შემოღებულ იქმნა დატუსაღებულ საქონლის დაჯარიმება 1 მან. ოქროთი პირველ შემთხვევაში; მხოლოდ თუ კიდევ განმეორდება—გადახდეს ჯარიმა 1 მან. გადიდებული 100 პროც. იმდენჯერ რამდენჯერაც მოქმედება მეორდებოდეს.

— **ფუნიკულიორის გაუმჯობესება.** საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ფუნიკულიორი არის ადგილი სადაც ხალხი სულიერად ისვენებს, ამიტომ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რათა ფუნიკულიორის გაუმჯობესებისათვის დათმობილ იქმნას ორი დესეტინა ადგილის მოსაწყობად და გაღებულ იქმნას სათანადო კრედიტი.

— რედაქციას მოუვიდა „მომავალი“ საქართველოს კომკავშირის ყოველთვიური ორგანო № 4, ფასი 200,000 მან. და **ფ. მახარაძის** „როგორ გავხდი მარქსისტი“, გამოცემა იმავე კომკავშირისა ფასი 15 კაპ.

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი: რუსის ოქრო თუმნიანი—14,500,000 მან. ჩერვონეცი—8,350,000 მან., გირვანქა სტერლინგი ეფექტივი—8,850 ათასი, ჩეკი—7,700 ათასი, დოლარი ეფექტივი—1975 ათასი, ჩეკი—1750 ათასი, ოსმალური ქაღალდის ლირა—1,300 ათასი, იტალიური ლირა—85 ათასი დი ფრანკი—110 ათასი მანეთი.

# ეკონომიური ცხოვრება

### შავი ქვის ამოღება და ექსპორტი

(1923 წლის პირველ მეოთხედში).

ჩემოს მიერ შავი ქვის გატანას 1923 წლის პირველ მეოთხედში თვეების მიხედვით, ემჩნევა ცტკიცე ტენდენცია გადიდებისაკენ. ასე მაგალითად, იანვარში გატანა უდრის 19 პროც., მარტში უკვე 42 პროც., აპრილში კი მოელიან უფრო დიდ ციფრს.

ასევე იზრდება მადანის გატანა ჭიათურიდან ნავთსადგურებში. იანვარში გატანილია 1.349.600 ფუთი, მარტში—2.648.800 ფუთი. სულ სამი თვის განმავლობაში გატანილია 5.180.800 ფუთი. გატანილი შავი ქვის ყველაზე დიდი რაოდენობა ეკუთვნის ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა აქციონერულ საზოგადოებას, სახელდობრ გატანილი რაოდენობის 40,5 პროც.

რაც შეეხება შავი ქვის ამოღებას, ამავე ხნის განმავლობაში ამოღებულია სულ 1.460.245 ფ., ამოღებასაც ემჩნევა გადიდების ტენდენცია თვეების მიხედვით. მიუხედავათ ამისა ამოღება მაინც ნაკლებია გატანაზე.

ამოღების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს კავკასიის მადაროების საზოგადოებას (79 პროც.

შავი ქვის მომხმარებელს შორის პირველი ადგილი უჭირავს ამერიკის შეერთებულ შტატებს (გატანილი შავი ქვის 29,3 პროც.), მეორე ადგილი უჭირავს ინგლისს (24,4 პროც.), შემდეგ საფრანგეთი—(21,6 პროც.) და სხვები.

შავი ქვის ექსპორტი [illegible] თით (95,7 პროც.), [illegible] გურით.

### ბირჟის კომიტეტის სხდომა.

ოთხშაბათს, 25 აპრილს, ტფილისის ბირჟის შენობაში ამხ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით შესდგა ბირჟის კომიტეტის მორიგი კრება.

დღის წესრიგში იყო დასმული საკითხები სასწრაფო ზომების მიღების შესახებ, რაც აუცილებელია იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანებში ვალიუტის ბაზარზე თავი იჩინა აჟიოტაჟმა და გაიზარდა მოთხოვნილება ვალიუტაზე ისეთი პირების მხრივ, რომელთაც არავითარი საერთო არც ვაჭრობასთან და არც მრეწველობასთან არა აქვთ და ვალიუტას იძენენ მხოლოდ და მხოლოდ სპეკულაციის მიზნით.

ამიერ-კავკასიის ფინსახკომის წარმომადგენელმა და ბირჟის კომიტეტის წევრმა ამხ. საღარიანცმაც გააკეთა სავალიუტო ბაზრის მიმოხილვა და აღნიშნა განსაკუთრებულ აჟიოტაში ოქროზე, რომლის ფასების ცვლა დაიწყო მოსკოვში, რასაკვირველია არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა ამიერ-კავკასიაშიც. რომელიც კომერციულად დაკავშირებულია რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკასთან. მაგრამ ოქროს ფასი მოსკოვში ჩადგა ერთგვარ კალაპოტში საქონელზე ფასების მიმართ და არ აკეთებს ნახტომებს. ტფილისში კი ოქროზე ფასების ზრდას არა აქვს ეკონომიური ბაზა, ორატორის აზრით ოქროს ათმანეთიანის რეალური ფასი არ შეიძლება გამოანგარიშებული იქნეს 9—10 მილიონზე მეტ ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით, ამ ფასზე ზევით კი—ეს იქნება აჟიოტაჟი, ნახტომი, რომელსაც არავითარი ეკონომიური საფუძველი არა აქვს.

სხვა ორატორები აღნიშნავდენ, რომ ვალიუტის კურსის ცვალებადობაში, ტფილისი არავითარ ანგარიშს არ უწევს სხვა ეკონომიურ ცენტრებს მოსკოვს, ბაქოს, ერევანს იმ დროს, როცა ბაქოში ოქროს ათმანეთიანი ფასობდა 11.400 მანეთს [illegible] იჩენდა ერთგვარ სიმტკიცეს, თბილისში ოქრო 9—10 მილიონიდან 13—14 მილიონამდი ავიდა შავ ბირჟაზე კი ის უფრო მეტი ფასობდა.

საფონდო ბირჟაზე შავი ბირჟის ელემენტების შემოსვლისათვის ხელის შესაშლელათ, კომიტეტმა დაადგინა მტკიცეთ იქნას დაცული ბირჟის წესდების მეთორმეტე პარაგრაფი, რომლის ძალით ბირჟაზე დაიშვებიან მხოლოდ ბირჟის წევრები, კერძო პირები კი—ბირჟის მორიგე წევრის ნებართვით, უკანასკნელებს ეკისრება მათი რეკომენდაციით ბირჟაზე დაშვებულ პირების მოქმედებისთვის მთელი მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობა.

ბირჟის ოპერაციების გასაადვილებლათ და დაინტერესებული წრეებისათვის ინფორმაციის თავის დროზე მისაწოდებლათ და აგრეთვე იმისათვის, რომ დადებულ ხელშეკრულებებზე ანგარიშის გასწორება მოესწროს იმავე დღეს, კომიტეტმა დაადგინა ბირჟის სხდომები გახსნას 11 საათიდან 12 საათამდი.

იმისათვის, რომ უკეთესად გამოირკვეს მოთხოვნა ვალიუტაზე მოთხოვნილება ან მიწოდება, კომიტეტმა საჭიროდ ალიარა, რომ ბირჟის წევრებმა ან დამსწრეებმა ბირჟის კრებამდი ან კრების დროს განუცხადონ გოფმაკლერს ყიდვის და გაყიდვის მსურველთა ვალიუტის რაოდენობის შესახებ.

სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისათვის და აგრეთვე კერძო პირებისათვის ფულით ანგარიშების გასწორების გასაადვილებლათ და აგრეთვე, თუ შეიძლება ითქვას, მათ განკარგულებაში ჰყოფ. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების ფასის დაკარგვიდან დასაზღვევათ,—ბირჟის კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს ამიერ-კავკასიის ფინსახკომის წინაშე საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშების შესახებ ოქროს ანგარიშით, რასაც შედეგათ მოჰყვება ჩეკების ტრიალი და ვალიუტაზე მოთხოვნილების შემცირება.

---

# პარტიაში

2 მაისს შუადღის 3 საათზე ა. კ. ფინსახკომის სამმართველოში შესდგა კრება საქ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრთა. დღის წესრიგში იყო დასმული ფრაქციის დაარსება. კრებას დაესწრო მე-4 რაიკომის წარმომადგენელი ამხ. **გ. ლასკარი** რომელმაც განმარტა ფრაქცია და მისი მნიშვნელობა.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რომელსაც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი.

დასასრულ ბიუროში არჩეული იქნა ხმის უმრავლესობით შემდეგი ამხანაგები: 1. ნიკოლოზ საყვარელიძე, 2. ტარიელ ხოშტარია, 3) შოთა მანაგაძე.

კრების მდივანი: **ნ. საყვარელიძე.**

---

დღეს, მაისის 4, 3 საათზე ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში დანიშნულია შრომის კომისარიატში მომუშავე საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის წევრების კრება.

სავალდებულოა ყველა ამხანაგების დასწრება.

# „რუსეთის კომპარტიის 12 ყრილობა და ქართველი ხალხი“

მოხსენება პლ. კვირკველიასი

შესდგება კვირას, მაისის 6, დილის 12 საათზედ პარტიულ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1).

დასწრება შეუძლია თანამგრძნობსაც წევრის რეკომენდაციით.

## იშვიათი წლის თავი

(მესამე ტეხნიკუმი, იგივ ძველი ქართველთ გიმნაზია)

მოსწავლეთა მეოცდახუთე გამოშვება იქნება ამ მაისის დამლევს მესამე ტეხნიკუმიდან, რომელიც ძველი ქართველთ გიმნაზია იყო. ვამბობ მეთქი ქართველთ და არა ქართულს იმისთვის, რომ ქართული სწავლა-განათლება ძველი რეჟიმის დროს აკრძალულ იყო, მაგრამ ქართველთათვის დაარსებული გიმნაზიაც ბიუროკრატ რუსიფიკატორებს ვერ მოენელებინათ, როგორც კერძო დაწესებულება, რომელსაც საადგილ-მამულო ბანკის მოგებით ინახავდა სწავლაში გაჭირვებულ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. მეფის ნაცვალი, კავკასიის ოლქის მზრუნველი, ეკზარხოსი თუ მათი დამქაში ბობოლა ხელისუფლები ყველა კბილებს უკრაჭუნებდა, ყველას ათვალწუნებული, ყბად აღებული ჰქონდა, როგორც ურგები და მავნებელი რამ, რასაც მათი იმპერიალისტური ჭკუით მხოლოდ მთავრობის ხელში გადასვლა გამოაკეთებდა.

დაარსებული ჯერ კიდევ სამოცდა ათიანი წლების დასასრულ 78 წ. ხსენებული სკოლა თითქმის უსასყიდლოდ ასწავლიდა ღარიბ ახალგაზდობას წოდების, თემის და რჯულის გაურჩევლად და შეჰქონდა სწავლის სინათლე ისეთ ოჯახებში, რომელთაც არ შეეძლოთ გაჯიბრებოდნენ ბიუროკრატ ვაჭრებსა. უკანასკნელებს მეტი ღონისძიება ჰქონდა, შვილები მიებარებინათ მთავრობის სკოლებში. ამის გამო სასწავლო ოლქის წლიურ ანგარიშებში ქართველ მოსწავლეთა სიცოტავე მათთვის, ვინც საქმეში ჩახედული არ იყო, უნდა ახსნილიყო ქართველთ ჩამორჩენილობით, მათი უკულტურობით, რაც დაშნაკელების აზრით ქართველებს ჰქმნიდა ერთგვარ უსახურ მასალ, რომელიც მასალად იყო მხოლოდ გამოსადეგი მათი კაპიტალის განვითარებისთვის.

ქართველთა გიმნაზიამ მალე მიიქცია ყურადღება, რათგანაც მასწავლებელთა კორპორაცია შეიქმნა მესვეური ქართული კულტურის განვითარებისა კალმით, თუ სხვაფრივ საზოგადოებრივი მოღვაწეობით, ხოლო მათი მოსწავლე ახალგაზდობა დაეწაფა პროგრესიულ იდეებს. როცა სოციალისტურმა მოძრაობამ თავი იჩინა ჩვენში ბევრი მოსწავლე მაღალი კლასისა შეგნებულად შეუდგა სოციალიზმის საქმეს ასე, რომ მამათა შორის, რომელნიც საადგილ-მამულო ბანკის მოგებისაგან შემწეობას აძლევდნენ სკოლას, ერთხელ ზოგიერთები ისე განრისხდნენ სკოლის ხარჯთა აღრიცხვის განხილვის დროს, რომ კინაღამ მოუსპეს სკოლას შემწეობის აღმოჩენა. მოტივად მოჰყავდათ, მასწავლებელთ შვილები გაგვისოციალისტეს, ხოლო შვილებმა გლეხობა აგვიჯანყესო. მაგრამ საზოგადოებრივმა სვინიდისმა გასჭრა და მამებს შვილების მიმართ ღალატი არ ჩაადენინა. ვიდრე ქართველთ გიმნაზია სახელმწიფო ქართულ სკოლად არ გამოცხადდა, შემწეობა არ მოჰკლებია ბანკისაგან, რომელიც მასთანვე გადაეცა სახელმწიფოსა.

მრავალია საზოგადოებრივი მოღვაწე, რომელიც აღუზრდია ხსენებულ ქართველთ გიმნაზიას, მაგრამ განუსაზღვრელია სარგებლობა, რომელიც მოუტანია და დღეს მესამე ქართულ ტეხნიკუმად გადაკეთებული განაგრძობს მოტანას ქართველი მშრომელი ხალხისთვის. თუ შესაძლებელი გახდა საქართველოში სახელმწიფოებრივი ცხოვრების განახლება, სახელმწიფოს გაეროვნულება, ტფილისის ქართველთ გიმნაზიასთან ერთად უდიდესი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიას, რომელიც დაარსებულ იქმნა ლიხთ იმიერ ქართველთ ახალგაზრდობის სასწავლოდ.

ტეხნიკუმის წლევანდელი აბიტურიენტები ბედნიერად უნდა სთვლიდენ თავიანთ თავს, რათგანაც დაეწაფებიან ეროვნულ მაღალ სწავლას, რომლის განვითარებაც ამიერიდან უზრუნველყოფილია საქართველოს მშრომელი ხალხის საფარველ ქვეშ.

მაგრამ დღეს მესამე ტეხნიკუმი, რომელმაც სახელმწიფოს გადასცა აუარებელი ქონება როგორც მაგალითად შენობა სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ორი სართულიანი უზარმაზარი სახლები ქალ. ალ. საბჭოს გვერდით ორ ქუჩაზე გამავალი, იძულებულია შესაფერი ბინის უქონლობის გამო მოსწავლეთა სწავლის საქმე ნასადილეობით აწარმოოს.

ტეხნიკუმის დაარსებიდან **ორმოცდა ხუთის**, ხოლო აბიტურიენტების პირველი გამოშვებიდან **ოცდა ხუთი წლის** თავზე იმ საზოგადოებრივ მოღვაწეებს, რომელთაც უსწავლიათ ამ ტეხნიკუმში, ჰმართებს რითიმე აღნიშნონ ეს იშვიათი წელი ტეხნიკუმის არსებობისა, ერთგვარი მფარველობა გაუწიონ.

**პეტრე მირიანიშვილი.**

## სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე მონარქიის დროს სასხვათაშორისო საქმედ იყო მიჩნეული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი განყოფილება ხელმძღვანელობდა ამ საქმეს მთელი რუსეთის მაშტაბით. დღეს, საბჭოთა ხელის უფლების დროს, ეს საქმე განსაკუთრებული მზრუნველობის საქმედ არის აღიარებული და საბჭოთა ფედერაციის თვითოეულ რესპუბლიკაში საკუთარი კომისრები უდგანან ამ საქმეს სათავეში. დიდი მატერიალური საშვალებებს ხარჯავს სახელმწიფო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. საავათმყოფოების და საექიმო პუნქტების ქსელის გაფართოება, კურორტების მოწყობა, აფთიაქების გაეროვნება, სასანიტარო თუ სამალარიო ორგანიზაციების ამოქმედება, დამზღვევი კასების ორგანიზაცია და სხვა...... მიმართულია ამ საქმის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისაკენ და მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა ამ მხრივ, რამდენათაც დღევანდელ პირობებში შეიძლება, თითქმის სავსებით დაკმაყოფილებულია დამზღვევი კასების საშვალებით, მაგრამ სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის მიწის მუშებზე განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება წამლობითი დახმარებას. დღეს, როდესაც ამ უკანასკნელთა ნაწარმოები ჩალის ფასად იყიდება შედარებით ფაბრიკანტებისა და მათ შორის წამლების ფასებთანაც, მიწის მუშა, რასაკვირველია, ვერ შეძლებს დაიკმაყოფილოს საკუთარი წამლობითი მოთხოვნილება საკუთარისავე საშვალებებით. საილიუსტრაციოდ საკმარისია მოკლე მაგალითი. ეს წერილი იწერება სიმინდისა და ციების რაიონიდან. სიმინდი ადგილობრივი გლეხის შემოსავლის მთავარი კი არა, ერთად-ერთი წყაროა, ციება კი მისი მუდმივი სტუმარია. ერთი ფუთი სიმინდის ფასით—50 კ.-ით იძენდა 20 პარკ ქინაქინას, დღეს კი იმავე ერთი ფუთის ფასით—100.000 მან. ის იძენს—1 პარკს.

თავის თავად ცხადია წამლების გაძვირებაში ჩვენ ბრალს ვერ დავდებთ ვერც სახალხო ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატს და ვერც მის განყოფილებას, რომელიც ხელმძღვანელობს საafთიაქო საქმეს რესპუბლიკაში, ვინაიდან მე კარგად ვიცი, რომ წარმოების სამეურნეო წესზე გადაყვანილ აფთიაქებმა შესძლონ არსებობა საკუთარის საშვალებით, საჭიროა საafთიაქო ნიხრი შეფარდებულ იქნეს წამლების ფასებთან ბაზარზე. ვიცნობ რა წამლების ფასებს ბაზარზე, მე ვერ ვიტყვი, რომ საafთიაქო ნიხრი არ არის შეფარდებული ამ ფასებთან პირიქით, უნდა აღინიშნოს, რომ შედარებით ფაბრიკანტებთან წამლები ბევრად უფრო იაფია. მაგ. აფთიაქში დღევანდელი ნიხრით წინანდელი 10 კ. წამალი ღირს—80 ათასი მან., ხოლო წინანდელი ჩითი 10 კ.—200—250 ათასი მან. როგორც ვხედავთ განსხვავება საგრძნობია, მაგრამ ხელ-მოკლე გლეხობისათვის მაინც მიუწდომელი. ამით მე არ მინდა ვთქვა, რომ გლეხობის წამლობითი მოთხოვნილების უზრუნველ-საყოფად საჭიროა დაუბრუნდეთ აფთიაქების გაეროვნების პირველ ხანებში არსებულ წესებს—წამლების სრულიად უფასოდ გაცემას სოფლის გლეხობაზე. ის იყო უკიდურესობა, რომელმაც რამოდენიმე თვეში ისე გაანადგურა სოფლის აფთიაქები, რომ მოქალაქე საფასურის გადებითაც ვერ შოულობდა საჭირო წამლებს აფთიაქებში, მაგრამ მე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ ჟამად ხსენებულ უკიდურესობას დაუპირდაპირდა წინააღმდეგი უკიდურესობა—შედარებით გლეხების ნაწარმოებთან წამლების ფასების ისეთ სიმაღლემდის ასვლა, რომელიც შეუძლებლად ხდის გლეხობისათვის წამლობითი დახმარების მიღებას. მე მგონია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს და გამოინახოს ის ზომები, რომელნიც ხელს შეუწყობენ წამლების გაიაფებას, როგორც ბაზარზე, ისე აფთიაქში. როგორი უნდა იყოს ეს ზომები. პასუხი სრულიად მოკლე და მარტივია. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ დღეს ჩვენში შემოტანილ საქონლებზე საერთოდ და მათ შორის წამლებზედაც არის დაწესებული ბაჟები, რომელიც, რასაკვირველია ერთი მთავარი მიზეზთაგანია წამლების გაძვირებისა. გაიაფების მიზნით საჭიროა შემოტანილ წამლებზე მოიხსნას ეს ბაჟები. საერთოდ შემოტანილ საქონლებზე ბაჟების დაწესება შესაძლებელია გამართლებულ იქნას:

1. საკუთარი წ[illegible]ოების განვითარების და 2 ბაჟების საშვალებით სახელმწიფო შემოსავლის გაძლიერების მიზნებით, მესამე, ჩვენში შემოტანილ წამლებზე ბაჟების დაწესება არ შეიძლება გამართლებულ იქნას ამ მიზნებით და აი რატომ;

საერთოდ საკუთარი წარმოების განვითარების მიზნით ბაჟების დაწესება შესაძლოა მისაღები იქნეს ისეთ საგნებზე, რომლის წარმოებას ცოტათ თუ ბევრად ფეხი მოკიდებული აქვს სახელმწიფოში, საბჭოთა ფედერაც. ტერიტორიაზე კი საერთოდ ქიმიური და კერძოთ ქიმიკო ფარმაცევტიული წარმოება ჯერ-ჯერობით სუსტია და არც შეიძლებოდა ასე არ ყოფილიყო, ვინაიდან ამ მხრივ რომანოვების რუსეთი ყურმოჭრილი იყო დასავლეთ ევროპის და უმთავრესად კი გერმანეთის ქიმიკო-ფარმაცევტიულ მრეწველობის, დღეს-დღეობით ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი წამლობითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. რაც შეეხება ბაჟების საშვალებით სახელმწიფოს შემოსავლის გაძლიერებას ამ მიზნით მედიკამენტებზე და საერთოდ სამკურნალო საგნებზე ბაჟების დაწესება თავის თავად ცხადია, ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელი უნდა იყოს, ვინაიდან ეს იქნებოდა ავადმყოფ მოქალაქეთა ექსპლოატაცია. იგივე უნდა ითქვას იმ საგნებზე, რომელიც მზადდება ჩვენში, მაგრამ სააქციზო გადასახადი აქვს დაწესებული. ასეთია მაგალითად სპირტი, რომელზედაც ბაჟის დაწესება სავსებით მისაღებია, როდესაც მას ეძლევა სხვა დანიშნულება, მაგრამ მიუღებელია, როდესაც ის ხმარდება ავათმყოფის საჭიროებას. ქიმიკო-ფარმაცევტიული წარმოებისათვის საჭირო სპირტი უნდა იქნეს განთავისუფლებული აქციზიდან. აი ზომები, რომელიც გაიაფებს წამლეულობას და ხელმისაწდომად გახდის მას სოფლის მშრომელი გლეხობისათვის.

**პროვინციელი.**

## კორესპონდენცია

**ჩ. ჩოხატაური** (ოზურგ. მაზრა). ადგილობრივი ტეხნიკუმის გამგე ტ. ასათიანი განთავისუფლებული იქმნა თანამდებობიდან; მის ადგილზე დაინიშნა ლანჩხუთის ტეხნიკუმის მასწავლებელი მელ. ქავჟარაძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

ამავე ტეხნიკუმის მოსწავლეებმა რიცხვით 150 კაცმა შუამდგომლობა აღძრეს სათანადო მთავრობასთან, რათა მათ ნება მიეცეს ექსკურსიისა საქართველოს სხვა და სხვა ადგილების დასათვალიერებლათ, როგორიც არის ტფილისი, ბათომი და სხვა.

ჩოხატაურის რაიონში არსებული ყველა თემების დაწესებულებების რევიზიას ახდენს მაზრიდან საგანგებოთ დანიშნული სარევიზიო კომისია, რომელშიაც შედიან კ. ჩხარტიშვილი, არტ. ბარამიძე და თ. ჩიჩუა. აღნიშნულმა კომისიამ უკვე შემოიარა მთელი აღმოსავლეთი გურია და ადგილობრივ გაეცნო იქ არსებული დაწესებულებების მუშაობას.

ადგილობრივ ბაზარზე სხვა და სხვა საქონლის ფასი ყოველ წამს მატულობს. ფაბრიკატები მამასისხლათ იყიდება, სამაგიეროთ სოფლის ნაწარმოებს პირველთან შედარებით არავითარი ღირებულება არ აქვს.

აღმოსავლეთი გურიის ყველა სკოლებში მეცადინობა სისტემატიურათ მიმდინარეობს. მხოლოდ არ შეიძლება არ აღინიშნოს მასწავლებელთა კრიტიკული მატერიალური მდგომარეობა. მათ ჯერაც არ მიუღიათ მარტის ჯამაგირები. მეტათ საჭირო კია ასეთ არა ნორმალურ მოვლენას მიაქციონ ყურადღება სათანადო ორგანოებმა.

ჩოხატაურის რაიონში არსებული ეკლესიები ყველა დახურულია. არსად აღარ სწარმოებს „სულიერი მამების“ ლოცვა[illegible] მშრომელმა ხალხმა კარგა ხანია [illegible] მათი მატყუარობა და ამ უკანასკნელთ [illegible] მოუხურა მათ ეკლესიის კარები.

დახურული ეკლესიები ზოგი სახალხო სახლათ კეთდება და ზოგიც სკოლებათ. ადგილობრივი ეკლესიის ზარის წკრიალა ხმა გაისმის ჩოხატაურის სკოლის ეზოდან და მოუწოდებს ახალთაობას არა მოტყუება-დამონებისათვის, არამედ ყოველივე კარგისა და კეთილი ცნობების შესაძენათ.

1901 წ. დაბადებულთა გაწვევა უკვე დასრულდა. მიღებული ჯარისკაცები გადაიგზავნა ქ. ოზურგეთში.

უკვე განახლდა მუშაობა ადგილობრივ საავადმყოფოს შენობის აგებაზე, რომელსაც ხელმძღვანელობს სამაზრო ჯანმრთელ. განყოფილ. გამგე თ. ჩიჩუა. ჯერ-ჯერობით მუშაობა სწარმოებს მის მიერ შემოწირულების სახით შეგროვილი თანხებით. ადგილობრივი მცხოვრებლებისგანაც იკრიბება საჭირო თანხა. შენობა უზარმაზარი იქნება და დაჯდება რამდენიმე მილიარდი. უსურვებთ ამხ. თ. ჩიჩუას დაწყებული საქმის კეთილად დაგვირგვინებას.

ჩოხატაურის კოოპ. კავშირმა უკვე დაარიგა მთელი რაიონის მეაბრეშუმეებზე 400 კოლოფი სხვა და სხვა ჯიშის აბრეშუმის თესლი.

მემამულეებიდან მიწების ჩამორთმევა უკვე დამთავრდა, რამაც, რასაკვირველია, ისინი „ცოტა უხასიათოთ“ დააყენა და ღვრიან ნიანგის ცრემლებს. მაგრამ რას გახდებიან, თუ ცხოვრების ულმობელი კანონები და მათი ბედისწერა ასეთი ყოფილა.

— ადგილობრივი აღმასკომის თაოსნობით უკვე შეუდგენ გზების შეკეთებას. განათლებულ საზოგადოებას სხვათა შორის ახასიათებს კარგი გზებიც და დარწმუნებული ვართ გურული მშრომელები, როგორც ყოველთვის და ყველაფერში მოწინავე, აქაც დაამტკიცებენ მის სიმაღლეზე დგომას.

— ეს ორი-სამი თვეა ჩოხატაურში სისტემატიურათ მოგვდის გაზეთები, რითაც საშუალება გვეძლევა არ მოვსწყდეთ ცხოვრებას. მადლობის ღირსია ამ შემთხვევაში ამ. სეფე ცინცაძე, რომელმაც საუცხოვოთ მოაწყო აგენტურა და გაზეთებს ყოველთვის თავის დროზე ვღებულობთ. მოდის: „კომუნისტი“ 30 ცალი, „ტრიბუნა“ ორი ცალი „მიწის მუშა“ 45 ც.

— ადგილობრივ კოოპ. კავშირს გახსნილი აქვს 18 განყოფილება. ეხლა ყველგან სწარმოებს საპაიოს შემოტანა ორი ფუთი სიმინდით. დადგენილების თანახმათ, სადაც არ შესდგება საკმაო რიცხვი ასეთი წევრებისა, განყოფილება დაიხურება. საჭიროა მშრომელი ხალხი ამას შეგნებით შეხვდეს და დროზე გაიღონ თავ-თავიანთი წვლილი, რათა ამით საშუალება მიეცეს კოოპერაციას შერჩეს უნარი ალვირახსნილ სპეკულიაციასთან ბრძოლისა.

**ამხაითელი.**

## საუბარი გლეხთან

### რა ვნახე?

ტფილისში მე ჩამოველ სოფლიდან შარშან ღვინობისთვეში, დავრჩი აქ ხუთს თვეს და ამ წლის მარტში კვლავ ვესტუმრე სოფელ ლალისყურს. რა ვნახე?

შარშან წამოსვლისას ხალხი მე დავტოვე კმაყოფილი, ჩაცმულ დახურული, რასაკვირველია, წინა წლის საკმაო მოსავლისა და ფართლეულობის იმ სიიაფის გამო, რომელიც მაშინ არსებობდა, რომ გლეხი არშინ ნარმას ერთ-ორ ლიტრა პურად თუ სიმინდად ყიდულობა, ხოლო, ახლა? მთელი ურემი ხორბალი თუ სიმინდი უნდა გაიტანოს თელავს, რომ იმდენი არშინი მაინც იყიდოს, რომ თავის თავი და ცოლ შვილი როგორმე სუბუქად შემოსოს! ამოდენა ჭირნახული ვინ მისცა ახლა ჩვენს გლეხს. ფეხსაცმელზე ხომ ნულარას იტყვით: დაწყებული წვრილ-ფეხობიდან, ხალხის უმეტესი ნაწილი და მეტადრე დედაკაცობა, სულ ფეხშიშველები დაიარებიან. ღვინისა თუ პურის ჰაჰანება აღარსად არის, არც ხორცია, ყველანი ამა თუ იმ ბოლახის მხალზე დაწრწიან და ეს არის მათი ლუკმის დამსველებელი და როგორც განგებ, ყველა ამას ზედ დაერთო ზედი-ზედ რამდენიმე ძველი თუ ახალი გადასახადების მოთხოვნა. შეუძლებელი იყო გადასახადების ასეთს მდგომარეობაში გადახდევინება და კარგი ქნა მთავრობამ, რომ სასკოლო გადასახადის შეტანა მოსავლის მოკრეფამდე გადასდო.

მომავლისათვის გვმართებს მივიღოთ ნამდვილი ზომები, რომ ხალხს თავის დროზე უთუოდ მივაწოდოთ ყოველგვარი ფართლეული მის ნამდვილ და არა ჩარჩულ ფასებში, საჭიროა კავშირი დაიჭიროს ჩვენი კოოპერატივების კავშირთა-კავშირმა ან თვით მთავრობამ აღმოსავლეთ ქვეყნებთან, სადაც, როგორც გამიგია, ძველებურად იოლია ყველაფერი, გაგზავნოს იქ მცოდნე კაცები და მოიტანონ იმდენი ფართალი, რომ ზედმეტად გასწვდეს ყველას, მოიტანონ თან ევროპიდან და ამერიკიდან ისეთი ხელ-მარჯვე მანქანებიც, რომ შემოდგომიდანვე გავაჩაღოთ საკუთარი სახელმწიფოებრივი მრეწველობა; მატყლი, ბამბა, აბრეშუმი და სხვა ნედლი მასალა ალბათ იმდენი გვექნება, რომ გვეყოფა საამისოთ. თუ მოვახერხებთ და საკმაოდ მოვიტანთ ასეთს ხელ-მარჯვე მანქანებს, მთავრობას შეუძლიან მობილიზაციით გაიწვიოს სოფლების ყველა მქსოველნი თითო-ოროლა თვით, თუნდა ნამუშევრის წილში მონაწილეობით და ამ სახით იმდენი ფართალი დაამზადონ, რომ ყველას გასწვდეს და არც ძვირად დაგვიჯდეს.

თუ ასე მოვიქცევით და საქმეს მხნედ შევუდგებით, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ გზით ადვილად მივაღწევთ ორს დიდს მიზანს: ერთი, რომ ხალხს შევმოსავთ და, მეორე, რომ საძირკველს ჩავუყრით საკუთარ სახელმწიფოებრივ მრეწველობას ჩვენში.

რომ ჩემი წინადადება და სიტყვები ქარის მოტანილი არ არის და სრულიად ადვილად შეიძლება სისრულეში მოვიყვანოთ იგი,—საჭიროდ ვრაცხ გავაცნო აქ ქართველ მკითხველს განსვენებული პ. კრაპოტკინის შესანიშნავი შრომა—„მინდვრები, ქარხნები და სახელოსნოები“ ანუ—„მრეწველობა, შეერთებული მიწად-მოქმედებასთან და გონებრივი შრომა ხელ-გარჯილობასთან“, გამოცემული მოსკოვს 1921 წელსა.

მაგრამ ამაზე შემდეგ იყოს.

**ივ. როსტომაშვილი,**

## სეიფულა იოსელიანის მოხსენება

პარასკევს 4 მაისს, სახელმწიფო პირველ კონსერვატორიის დარბაზში სპარსეთიდან ჩამოსული ფერეიდანელი ქართველი სეიფულა იოსელიანი წაიკითხავს მოხსენებას, სპარსეთში მყოფ ქართველთა ცხოვრების შესახებ. სეიფულა იოსელიანის ჩამოსვლის მიზანი საქართველოში, საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან იოსელიანს თხოვნა აქვს მოტანილი ფერეიდანელ ქართველთაგან გამოგზავნილი. ამ საღამოთი მოხსენებას გააკეთებს მცხოვანი მწიგნობარი ზ. ჭიჭინაძე. ქართველების გადასახლება სპარსეთში შაჰ-აბაზის დროს. მე-17 საუკუნეში. ზ. ჭიჭინიძე წაიკითხავს აგრეძვე მოხსენებას საქრისტიანო და სამუსულმანო საქართველოს ერთობის მლოცველი გულო-აღა კაიკაციშვილი. 1840—1923 წ. და ოსმალოს საქართველოს ისტორიული ცნობები. დასაწყისი ქართველების გადასახლებისა სპარსეთში იწყება 1360 წელს. ყველაზე უფრო დიდი მტერი იყო საქართველოსი შაჰ-თამაზი მე-16 საუკუნეში და შაჰ-აბაზი მე-17 საუკუნეში.

შაჰ-თამაზმა ქართლიდან გადაასახლა 75 ათასი კომლი სპარსეთში სხვა და სხვა დროს, შაჰ-აბაზმა გადაასახლა ვახუშტის თქმით ათასი კომლი პაპუნა ორბელიანის თქმით 130 ათასი სული. დავით რექტორის ცნობები გადასახლების შესახებ, ეს ცნობები იწყება მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგიდან. დელლა-ვალეს, ორსნეს, და ლამბერტის ცნობები. ქეთევან დედოფლის წამება ქ. შირაზში 1622 წ. და ამ დროს იქ მყოფ გიორგი არქიმანდრიტის ცნობები ქართველების შესახებ. ეს პირი სწერს, რომ ამ დროს სპარსეთში 1622 წლიდან 1630 წლამდე იყო ისპაჰანში 60 ათასი ოჯახი ქართველი, თეირანში 120, ათასი ოჯახი და შირაზში 100 ათასი ოჯახი. ყარამან კიკნაველიძეს ცნობები ქართულ სოფლების შესახებ სპარსეთში. ქართველ სპარსელებმა, სპარსეთში დაკარგეს თავისი რჯული და ენა. ამათგან მხოლოდ 19 სოფელმა შეინახა ენა; აქედან სამი სოფელი არის თავრიზსა და თეირანს შუა და 16 სოფელი კი ისპაჰან ქალაქის ახლოს ფერეიდანის თემში. ამათგან საქართველოში პირველად მოვიდა 1871 წ. ათამ ონიკაშვილი 1897 წ. ლადო ალნიაშვილმა იმგზავრა სპარსეთში ნახა იქაური ქართველები და აღწერა მათი ცხოვრება. 1907 წ. საქართველოში ჩამოვიდნენ ყოლა-მრეზ ხუციშვილი და ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი. დღეს საქართველოში იმყოფება სპარსელი ქართველი სეიფოლა იოსელიანი, რომელიც წარუდგა საქართველოს მთავრობას, სპარსელ ქართველების თხოვნით მთავრობამ თხოვნა მოისმინა და ყოველივე დავალების აღსრულებასაც დაჰპირდნენ.

# თამარ მეფის მეხოტბენი

კვირის ნომრიდან ჩვენ გაზეთში დავიწყებთ ბეჭვდას მ. ჯანაშვილის ახალ გამოკვლევასა: თამარ მეფის მეხოტბენი (შავთელი, ჩახრუხაძე, შოთა); მოკლე შინაარსი:

**საზოგადო განხილვა**

მიზეზი ხოტბისა:

მხილება დიდებულთა და მთავართა პოეტების-მიერ თამარის წინაალმდეგობისთვისა.

წინაალმდეგობის მიზეზები.

ღემნას აჯანყება.

ხელისუფლობისთვის ბრძოლა.

პარლამენტისებურ მოთხოვნილების შედეგი.

ეპისკოპოსთა კრება.

სამეფო უფლებასა და მთავართა უფლებას შორის ბრძოლის გამწვავება.

თამარის დაუკითხავად კრების მოწვევა მისთვის ქმრის მოსაწვევად.

გამარჯვება თამარ-დავითისა.

**კერძო განხილვა**

**1. შავთელი.**

სრული უსაფუძვლობა, რომ ვითომ შავთელი აქებდეს აღმაშენებელს და არა თამარ-დავითს.

**2. „ჩახრუხაძე“.**

„თამარიანი“ არის ერთი მთლიანი თხზულება და არა 12 „ოდა“.

„თამარიანის“ ავტორი შოთაა, ხოლო ჩახრუხაძე შავთელის გვარი.

**3. შოთა რუსთაველი.**

I

ეპიგრაფი ჩვენის გამოკვლევისა.

1. წინასწარი ცნობები
   - ა. ცხოველობა „ვეფხვის-ტყაოსნისა“.
   - ბ. შესწავლა „ვეფხვის-ტყაოსნისა“.
2. პოეტი შოთა რუსთაველი.

II

„ვეფხვის-ტყაოსნისა“ წინასიტყვაობისა და თვით პოემის შეძერწილობა.

1. მიჯნური და მიჯნურობა.
   - ა. პირობა პირველი.
   - ბ. სხვა პირობანი.
   - გ. მიჯნურები და დინასტიური დავალება.
   - დ. მიჯნურები და პოეტები.
2. სპარსული ამბავი.
   - ა. ტარიელის და მეფეთა ამბავი.
   - ბ. ქართულად ნათარგმნებ სპარსულ ამბის პოვნა.
3. ქართული ამბავი.
   - ა. ტარიელის საძებრად ავთანდილის გამგზავრება.
   - ბ. სისხლის ცრემლთ დათხევის დასასრული.

III

მახლობელი აღმოსავლეთი და საქართველო.

1. „ინდოეთის“ შვიდი სამეფო.
2. „ვეფხვის-ტყაოსნის“ სხვა სამეფოები და ადგილები.
   - ა. ტარიელის ქვაბები.
   - ბ. ხატაველნი და ხატაეთი.
   - გ. ქაჯეთი.
   - დ. მულღაზანზარი და გულანშარო.
   - ე. „არაბეთი“.

IV

შოთას ქორონიკონები.

- ა. ავთანდილის კიდევანობა.
- ბ. ტარიელის კიდევანობა.
- გ. ტარიელის ჰასაკი.

V

„ტარიელის“ გაცილება.

VI

ვინმე მესხი.

1. ა. მისადევართა გლოსსები.
   - ბ. კლარჯელ-ინგილოური გლოსსები.
   - გ. შოთა—ინგილოური გლოსსები.
   - დ. კიდევ ორიოდე სიტყვა.
   - ე. „სადამი სა“.
2. ინგილოურ რეალიების ფასი შოთას სადაურობისა თუ ჩამომავლობის აღსადგენად.
3. მესხეთის-მიერ საქართველოს „დაპყრობა“ პოლიტიკურად და კულტურულად.
4. ვინმე მესხის ნართაული სახელი „რუსთაველი“.

VII

შოთას არაბიზმების გამო.

VIII

Terminus ante guem nor და terminus post guem non.

- ა. „თამარიანი“ და „ვეფხვის-ტყაოსანი“.
- ბ. რა აიძულებდა შოთას გასცლოდა საქართველოს?
- გ. შოთას წლოვანობა.
- დ. შოთას თანამედროვე მწერლები.
- ე. რეალიები „ვეფხვის-ტყაოსანში“.
- ვ. დასკვნა.

# ბიბლიოგრაფია.

**„მათემატიკა პაწიებისთვის“** რ. ნიკოლაძე—პოლიექტოვისა. 80 გვ. ტფილისი, 1923 წ.

**„განათლების მუშაკთა სახლი“-ს** მოქმედებას ამ წლის დასაწყისს მიემატა კიდევ ერთი ფრიად სიმპატიური მიზანი: პედაგოგიური ლიტერატურის გამომცემლობა. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ „ახალი სკოლა“ საქართველოში ფიქცია იქნება მანამდე, სანამ მის საძირკვლად არ იქნება შექმნილი და გამოცემული შესაფერისი პედაგოგიურ-დიდაქტიური ლიტერატურა. ამდენათვე უაღრესად სასიამოვნოა ყოველი მუშაკისათვის „სახლის“ მიერ ქართულ-რუსული სერიების („ახალი სკოლისაკენ“ **в поисках новой школы**“) გამომცემლობის დასაწყისი.

ამ რამდენიმე თვის წინათ გამოიცა ერთი რუსული შრომა, ხოლო უკანასკნელად ამავე ორგანოს ქართული სერიის პირველ გამოშვებას წარმოადგენს ქ-ნ რ. ნიკოლაძე—პოლიევქტოვის წიგნაკი „მათემატიკა პაწიებისათვის“.

საქართველოში არამც თუ მათემატიკის სწავლების მეთოდიკა, არამედ არც ქართული ენის სწავლების მეთოდიკის სისტემატიური კურსების გამოცემა მოიპოვება და რამდენადაც მათემატიკის ქართველ მოწაფეთათვის სწავლების შესახებ „პროგრამების“ მეტი არაფერი გაგვაჩნია, იმდენათვე აღნიშნული წიგნაკი პირველ ცდას წარმოადგენს ამ გზისაკენ, და როგორც ასეთი, უსათუოდ მნიშვნელოვანია.

**„მათემატიკა პაწიებისათვის“** წარმოადგენს მეთოდიურ დარიგებას მხოლოდ დაწყებითი შრ. სკოლებისათვის და, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, უშუალო გაგრძელება წიგნისა „ბუნება სკოლაში“. მთავარ მოტივად ამ ნაშრომს უძევს იდეა, მოზარდში მთლიანი ბუნების და ცხოვრების ჰარმონიული ევოლიუციის, რაც ჩამოსხმულია შემდეგ კონკრეტიულ სახეებში: თვით მოქმედების ინტერესის აღძვრა პატარა მოზარდში, ყოველგვარი თამაში (რის რაციონალურად დაფენებასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ბავშვის გრძობათა განვითარებისათვის) ესტეტიური აღზრდა, გარე გრძნობათა აღზრდა, ფიზიკური ვარჯიში, ნების-ყოფის აღზრდა და წვრთნა (და არა წრთობა როგორც ამას ხმარობს წიგნის ავტორი) ენის გამომუშავება, რომ დამოუკიდებლათ ბავშვს შესაძლება მიეცეს საკუთარი გრძნობების გამოთქმა საკუთარი სიტყვის გამოყენებით და—და ეგრეთვე, რაც უმთავრესია კერძოთ ამ წიგნისათვის, **„უმარტივესი თვლა ანგარიში“** ყველა ამის განხორციელებაში, აღნიშნავს ავტორი, კიდევ ერთი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მომენტია: **აზროვნების დაფუძნება მტკიცე საფუძველზე**, გარე გრძნობებით შეძენილ წარმოდგენების და ცნებების გამკვეთრება და ასოციაციებით შეერთება, როგორც ერთმანეთთან, ისე გარემოსთან; **დაკვირვების** ყურადღების, კვლევის—და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება; ცნობილის ძებნა და აღმოჩენა გარემოში ახალი კვლევის და ძებნის ნამდვილი და სხვა და სხვა“.

ძველ და არსებულ სკოლებში, პაწიებისითვის მათემატიკის სწავლების არა პედაგოგიურ ნიადაგზე დგომას. ქ-ნი ნიკოლაძე სრულიად სამართლიანად აწ არსებული მეთოდების უვარგისობით ხსნის (რაც ამტკიცებს მონტესორიც) და თავის მხრივ იცავს იმ დებულებას, რომ ამ საგნის სწავლების მეთოდი **„ბავშვის შემეცნების ფსიქო-ფიზიოლოგიაზე“** უნდა იყოს აგებული, ბავშვის მიერ მსოფლიოს შეგრძნების თანდათანობაზე და არა ამა თუ იმ საგნის მეცნიერული შინაარსის ლოღიკურ თანამიმდევრობაზე“. აქ მთელი სიმძიმე სწავლებისა გადატანილია ობიექტიდან სუბიექტზე და ავტორის მიერ აღიარებულია ვ. სტერნის გაგება ამ საკითხის, რომელიც ამ უკანასკნელს გამოყავს როგორც ლოღიკური დანასკვი ჩვილი ყრმის ფსიქოლოგიის შესწავლისა.

ფორმებისა და რიცხვების გაცნობის წესის აღწერის დროს წიგნის ავტორი მოითხოვს, რომ პირველად უნდა ისწავლებოდეს **ფორმის გაცნობა,** როგორც „გარე გრძნობებით უშუალოდ შეძენილი წარმოდგენა“ და ამდენადვე შედარებით მარტივი პროცესი ვიდრე **რიცხვი,** როგორც „გარე გრძნობებით დაგროვებულ მასალის ზოგადი განყენება“ და ამიტომავე უფრო რთული მომენტი ბავშის ცნობიერებისათვის.

აქ სავსებით დაცულია ახალი სკოლის მოთხოვნილება. დღეს უკვე მრავალი ექსპერიმენტითაა დამტკიცებული, რომ პატარებისთვის ფორმის აღქმა (**восприятие***) და არა შემეცნება, როგორც ფიქრობს ქ-ნი ნიკოლაძე) უფრო ადვილია რიცხვის

ფორმების გაცნობის მეთოდის განხილვის დროს, ავტორს მოყავს მონტესორის საილიუსტრაციო სურათები (**„плоские вкладки“**) რა გზით და რა სახით უნდა სწარმოებდეს ყველა გარე გრძნობარე საშუალებით ფორმის აღქმა. (მოყვანილი, სულ 15 სურათი, რომელთაგანაც მრავალ მათგანს კურსივი აკლია რაც ალბათ ტეხნიკური დაბრკოლების მიზეზითაა გამოწვეული) ამ საკითხის სრული დეტალური ანალიზი, რაც მონტესორის დიდი პოპულიარიზაციით ხდება, შეეხება პირველ შემთხვევაში სასკოლო ასაკამდე (3—7 წლამდე) მიუღწეველ მცირე-წლოვანთა ვარჯიშობას, ხოლო ამის შემდეგ გარკვეულია სასკოლო ბალების და შრ. სკოლის პირველი ოთხი წლის დაწვრილებითი გეგმა მეცადინეობისა და გისავლელი პროგრამა.

ამავე წესით აგვიწერს ავტორი თვლა ანგარიშის სწავლების მეთოდს და პროგრამას აღნიშნული ასაკის ბავშვებისათვის.

წიგნი წარმოადგენს მ. მონტესორის მეთოდების სისტემატიურ და ადვილ გასაგებ ახსნა-განმარტებებს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია მისი ავტორი.

რაც შეეხება ავტორის აზრს თერმინალოგიის შესახებ და ნახმარ თერმინებს, მათგან სულ მცირედი მისაღები, უმრავლესობა კი, ჩვენის აზრით, არ გამოდგება. მაგრამ ეს საკითხი უფრო სერიოზულია და სპეციალურ განხილვას მოითხოვს.

გ. თ—ლი.

**პროფ. დოქტორის ნ. თ. ადაროვის „ქრისტიანობის წარმოშობა“.**

მეხსიერება თუ არ მღალატობს, ვგონებ, ცნობილი ფილოსოფოსი ჰარალდ ჰეფდინგი ამბობს: „რელიგია ეს ის ცეცხლის სვეტია, რომელიც ერთ დროს კაცობრიობას მის დიდებულ ისტორიულ მსვლელობაში გზის გასანათებლათ წინ მიუძღოდა და დღეს კი იმ [illegible] შიც ომში დაჭრილებსა და [illegible] ნო“. და მართლაც, [illegible] კვირვებით თვალს გადაავლებს და ანალიზს გ[...] კეთებს, იმ ცვლილებებს რომელიც სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა ხალხი ახდენდა სარწმუნოებათა განვითარებაში, მისთვის დღესავით ნათელი გახდება იმ პოზიციის სისწორე, რომელზედაც კომუნისტური პარტია დგას და იბრძვის თავგადადებით ჩვენი სშრომელი მასის რელიგიის· ბურუსიდან განსათავისუფლებლათ. ბევრ ფრონტზე უხდება პარტიას ბრძოლა, რათა ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური წეს-წყობილების ნაცვლათ სოციალისტური შექმნას; მაგრამ ყველა ამ ფრონტებში მას ყველაზე მეტი ძალისა და ინიციატივის გამოჩენა უეჭველად ანტი-რელიგიურ ფრონტზე დასჭირდება. ამ მხრივ სრულიად სიმართლეს ამბობს ზემოთ აღნიშნული წიგნის მთარგმნელი: „უნდა ავღნიშნოთ კიდევ ერთხელ ის ჭეშმარიტება, რომ რელიგია ყველაზე სერიოზული ფრონტია, აქ გიხდება ბრძოლა იმის წინააღმდეგ, არის ასეული, არამედ ათასეული წლობით ჩანერგილა ხალხის გონებაში, მის სულსა (...სულსა) და გულში და აღზრდილა ის ამ ატმოსფეროში“ დიახ, ამ ფრონტზე ბრძოლა საერთოთ ყველა ქვეყნებში მეტად ძნელია, მაგრამ საქართველოში კი, მაგ. რუსეთთან და სხვ. შედარებით, ადვილათ დასრულდება, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის ფართო კულტუროსნობითა და პოლიტიკურ გათვითცნობიერებით აიხსნება, რასაკვირველია.

ამიტომაც საქართველოს ახალ. კომკავშირელებმა [...] ცეკამ პროფ.-დოქტ. ნ. ადაროვის „ქრისტიანობის წარმოშობა“-ს ქართულ ენაზე ამ დღეებში გამოშვებით მეტად დიდმნიშვნელოვანი წიგნი შესძინა ჩვენს მეცნიერულ-ისტორიულ ლიტერატურას. გადაჭრით ვამბობთ; ვინც ამ წიგნს ჩვენს ხალხს, ჩვენს მშრომელ მასებს გულმოდგინეთ არ გააცნობს ის არა კომუნისტური პარტიისადმი მტრობას დაამტკიცებს ამით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერისას.

ჩვენ ამ წიგნს ახლო მომავალში გავარჩევთ, ხოლო ამ ჟამად კი მთარგმნელთა საყურადღებოდ შემდეგს აღვნიშნავთ: ასეთი წიგნების ქართულ ენაზე თარგმნისას უცხო სიტყვების ხმარებას უეჭველათ უნდა გაურბოდეთ, რასაკვირველია, რამდენათაც ეს შესაძლებელია. ამასთანავე ისეთი სიტყვების ხმარებას, როგორიცაა მაგალითად, [...]ტარგიული და სხვ. ჯერ ერთი მთარგმნელმა [...]ლიუმი მკაფიოდ უნდა განმარტოს ყველას გა[...] ბათ და გარდა ამისა, შესაფერი ქართული [...] მინიც იხმაროს. აკი გვაქვს ჩვენ: „სალათის ძი[...]“, რაც იმავე ლეტარგიულს ნიშნავს!

გა—დ[...]

*) თერმინი **აღქმა восприятие-ს** აღსანიშნავად პირველად იხმარა პროფ. დ. უზნაძემ. **გ. თ.** აბსტრაქტულ წარმოდგენასთან შედარებით.

## ხელოვნება

**ახალი ოპერა „მაია“.**

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა, ღირსება!“ ეს არის ანდერძი საუკეთესო ქართველისა, რომელიც აღჭურვილი იყო გამჭრიახი გონებით და ბუნებრივი ნიჭით. საუბედუროთ, ამ ანდერძს ჩვენ მუდამ არ მივსდევთ და ხშირად „ფართო გზის „ნაცვლად წინ ვეღობებით და გზას უშლით.. ასეთია ცხოვრების სინამდვილე წვრილმანი და შურიანი. სრულიად შემთხვევით მოვისმინე მუსიკა ახალგაზრდა მუსიკოსის, ალე ფარცხალაძისა. შეიძლება ეს გვარი ბევრს არც კი გაეგოს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ უსათუოდ ნიჭიერ მუსიკოსთანა გვაქვს საქმე, რომელსაც დიდი მომავალი ექნება, თუ რომ საზოგადოება ხელს შეუწყობს. მისი რომანსები, მისი ახალი ოპერა „მაია“ შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვებენ. ორიგინალური მუსიკა, ერთნაირად გასაგები და სასიამოვნო, როგორც ქართველისთვის, ისე ევროპიელისათვის, ალაგ-ალაგ ჩართული იშვიათი ინდივიდუალიზაციით გადაქმნილი სპარსული მოტივები, მეტად ლამაზი პასაჟები, ზოგან მძლავრი და შემაშფოთებელი, ზოგან ნაზი და დამატკბობელი,—ყველა ეს სრულიად უნდა აკმაყოფილებდეს მსმენელს და შეეფერება კიდეც მშვენიერ ენით დაწერილს ლიბრეტოს, რომლის შინაარსიც ამოღებულია საქართველოს ისტორიიდან. მე-9-ე საუკუნეს, აშოტ დიდი კუროპალატის მეფობას, რომლის რომანიულ ხასიათის ინციდენტმა დაუპირდაპირა ერთი მეორეს ორი თითქმის თანაბარი ძალა, მეფე და მოძღვართ-მოძღვარი, ე. ი. სახელმწიფო და ეკლესია,—დაასურათებს მხოლოდ მძლავრი მუსიკა და ეტყობა ახალგაზრდა მუსიკოსს ეს კა[...] შეუგნია. საჭიროა მხოლოდ დახმარება და მეტი ყურადღების გამოჩენა. ასეთი მუსიკალური ნაწარმოების დაგვირგვინება მეტად ძნელია მარტოდ ახალგაზრდა მუსიკოსისათვის და მას უსათუოდ უნდა დაეხმარნენ მუსიკის მცოდნე სპეციალისტები, რომელთაც ჩემორჩილებათ მუსიკალური ტეხნიკა და მეცნიერება, მაშინ შესაძლოა, რომ მომავალ სეზონში ჩვენი ოპერის მცირე რეპერტუარს დაამშვენებს ახალი ოპერა „მაია“ და ქართველ კომპოზიტორებს კიდევ ერთი ახალგაზრდა თავისუფლად აღმოცენილი მუსიკოსი მოემატებათ. „ფართო გზა“, ყურადღება და კეთილი მოპყრობა ახალგაზრდობას! მომავალი მათია!

**გენო ყორჩიბაში.**

**წერილი რედაქციის მიმართ.**

1920 წლ. მე ვირიცხებოდი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიაში. პარტიის გაყოფის შემდეგ არცერთ ჯგუფს არ ვეკუთვნოდი, მხოლოდ ვადევნებდი თვალყურს, თუ რომელი ჯგუფი უფრო ემსახურებოდა მშრომელ ხალხს. დავრწმუნდი რა, რომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტია არის ნამდვილი მშრომელთა პარტია, [...] შემდეგ მსურს ვიყო ამ პარტიის წევრი და ვიმუშაო ქართველი მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

**გიორგი ვლადიმერის ძე ნიჟარაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


# საჯარო ვაჭრობა
(ტორგი)

**ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, ა. წ. 7 მაისს დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში**

## დანიშნულია მეორეჯერ საჯარო ვაჭრობა

**ქალაქის ხუთი სასწორის**

(თათრის მოედანი, დესიმონოვის მოედანი, მალაკნის მოედანი, ნუნუფაროვის და მუხრანის რიგ[...]) იჯარით გასაცემათ ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ. ვაჭრობა დაიწყება 15,000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში. დაწვრილებით კონცესიის გაცნობა ყოველდღე აღმასკომში ოთახი № 50. 331 3—2


ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 242 საქართვ. ფინანს. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2